ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

ხუთშაბათი, 28 აპრილი, 2016 №100 (7026) ფასი: 50 თეთრი

17 ათასამდე პირს სესხები გაუიაფდება

გვ.3

26 აპრილიდან მარგარეტ ტეთჩერი როგორც თავად იტყოდა

იენ დეილის რედაქციით

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

გიორგი ვაშაძე: „ოცნებას“ აქციების გარეშეც დავამარცხებთ“

„ხელისუფლება პარლამენტში მაქსიმუმ 45 კაცს შეიყვანს“

გვ.2

ომარ ნიშნიანიძე: „ეგლა გვაკლია, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია უსუფაშვილმა დაგვიკომპლექტოს“

გვ.2

„რესპუბლიკელების ლიდერი კომპარტიაში რომ შედიოდა, ჩვენ იქედან მოვდიოდით“

თორნიკე შარაშენიძე: „ხელისუფლების ხელშია, მივიღებთ თუ არა ვიზალიბერალიზაციას“

გვ.3

გადასცა თუ არა საქართველომ თურქეთს საზავო ტერიტორია



საქართველომ თურქეთს სასაზღვრო ზოლზე მდებარე 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადასცა, რომელიც წლების განმავლობაში ორ ქვეყანას შორის დავის ობიექტი იყო.

ამის შესახებ თურქული გამოცემა „Daily Sabah“-ი წერს.

გამოცემის თანახმად, გასულ კვირას თურქული და ქართული დელეგაციების წარმომადგენლები ერთმანეთს თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარე პოსოფი/თურგოზუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შეხვდნენ და შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.

როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია დასრულდა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში.

1992 წელს მხარეებმა აღიარეს ადრე შეთანხმებული საზღვრის ხაზი. აქედან გამომდინარე, დღეს საზღვართან და მის ცვლილებასთან დაკავშირებით რაიმე სახის მოლაპარაკებები და შეთანხმება გამორიცხულია.

სოსო მანჯავიძე: „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური დამბლა აქვს დაცემული“

გვ.4

ISSN 1987-9385

ომარ ნიშნიანიძე: „ეგღა გვაკლია, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია უსუფაშვილმა დაგვიკომპლექტოს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ გაცხარდნენ მეოცნებეები დავით უსუფაშვილის განცხადების გამო, ერევა თუ არა სპიკერი მათ შიდა პარტიულ საქმეებში, რა რჩევას აძლევენ რესპუბლიკელებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.

„რესპუბლიკელების ლიდერი კომპარტიაში რომ შედიოდა, ჩვენ იქედან მოვდიოდით“

ომარ ნიშნიანიძე:

დავით უსუფაშვილი გახლავთ ის ადამიანი, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ. ამის მიუხედავად, მის მიერ გაკეთებულ განცხადებას ასე ვერ დავტოვებ, მიუხედავად იმისა, რომ განცხადების რაღაცა ნაწილს ვეთანხმები. მან ჩამოთვალა 3 პრობლემა რომელიც საქართველოს ვიზალიბერალიზაციის მიღებაში უშლის ხელს. უსუფაშვილი ამბობს, რომ „ქართულ ოცნებაში“ არიან არცთუ ნორჩი ლენინელები და სტალინელები, რომელთა განცხადებებსაც დასავლეთი მთელი ხელისუფლების პოზიციად აღიქვამს.

ეს პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან იყო არაკორექტული განცხადება „ქართული ოცნების“ მიმართ. ჩვენს პარტიაში არც ნორჩი ლენინელ-სტალინელები არიან და არც არანორჩები. უსუფაშვილს მხედველობაში თუ ის აქვს, რომ ყველანი საბჭოთა კავშირიდან მოვდივართ, სხვა საქმეა, მაგრამ განცხადება მაინც არაკორექტული იყო. როცა ამ განცხადებას აკეთებდა პატივცემული დავითი, ალბათ უფრო კოალიციაში შემავალ ზოგიერთ სუბიექტს გულისხმობდა და კარგი იქნებოდა, ეს დაეკონკრეტებინა.

– სხვა სუბიექტებში მრეწველებს გულისხმობთ? მათ მართლაც უყვართ სტალინი. ამ მხრივ გოგი თოფაძე აშკარად გამორჩეულია.

– ეს ბატონი გოგის პირადი საქმეა. მას თუ სტალინი უყვარს, ეს „ქართული ოცნების“ ბრალი და საქმე არ არის. უკვე ნათელია, რომ მრეწველები, ისევე, როგორც რესპუბლიკელები, არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას.

– თქვენს პარტიაში მართლა არავის უყვარს სტალინი ან ლენინი?

– საჯაროდ ასეთი განცხადება არავის დაუფიქსირებია და გულში ვინ რას ფიქრობს, ვერ გეტყვით. გულშიც არა მგონია, ვინმე ეტრფოდეს მაგათ. ამას საკუთარი გამოცდილებიდან ვამბობ.

ბავშვი აღარ ვარ და თუ ვინმეს უნდა ჰქონდეს სტალინის მიმართ ნოსტალგია, მე უნდა ვიყო. თანაც ისტორიკოსი ვარ და კარგად ვიცი იმ კაცის პლუსები და მინუსები. მისი მოტრფიალე არ ვარ, მაგრამ იმას ყოველთვის ვიტყვი, რომ სტალინი ისტორიული პიროვნება იყო. ისტორია მას აუცილებლად მიუჩენს თავის ადგილს.

– ეს მოსაზრება უსუფაშვილსაც ხომ არ გაუზიარეთ და მანაც სტალინელად ხომ არ მიგიჩნიათ?

– ამ თემაზე უსუფაშვილთან საუბარი არ მქონია, თანაც არა მგონია, მას ეს ჩემზე ეთქვას. ყველამ კარგად იცის, რომ დასავლეთ საქართველოში მე ვედექი სათავეში ანტისაბჭოურ გამოსვლებს. კიდევ გიმეორებთ, ჩვენთან სტალინს და ლენინს არავინ ეტრფის და დავით უსუფაშვილის განცხადებები არაკორექტულია.

მისდამი პატივისცემის მიუხედავად, იმასაც ვიტყვი, რომ უსუფაშვილის გადასაწყვეტი არაა, ვინ იქნება ჩვენს პარტიაში და ვინ ეყვარება ამ ხალხს. ეგღა გვაკლია, უსუფაშვილმა მიგვითითოს, როგორ დავაკომპლექტოთ საარჩევნო სია.

– თქვენ ფიქრობთ, რომ უსუფაშვილი „ქართული ოცნების“ შიდა პარტიულ საქმეებში ჩაერია?

– ფაქტიურად ჩარევა იყო. უმჯობესი იქნებოდა, ბატონ დავითს თავისი რესპუბლიკელებისთვის მიეხედა.

– უსუფაშვილის ეს განცხადება იმიტომ ხომ არ გეწყინათ, რომ ის რესპუბლიკელია?

– იგივე რეაქცია მექნებოდა, ასეთი განცხადება კოალიციაში შემავალი რომელიმე სუბიექტის წარმომადგენელს რომ გაეკეთებინა. ერთადერთი, ვის განცხადებასაც გაგებით მოვეკიდებოდი, პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იქნებოდა. პარტიის წევრი როცა შიგნით არსებულ პრობლემებზე საუბრობს, ეს ცუდი არ არის. ასეთი რამე მეც არაერთხელ გამიკეთებია.

პარტიაში თუ მის გარეთ არსებულ პრობლემებზე იმდენი ვიყვირე, ვიღაცებს თავიც კი მოვაძულე, მაგრამ ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ჩემს პარტიაზე გული შემტკივა.

– უსუფაშვილს არ შესტკივა „ქართულ ოცნებაზე“ გული?

– მას თავისი პარტია აქვს და, ცხადია, მისი გულშემატკივარია. ამიტომ ჯობია, თავისი პარტიის საარჩევნო სიას მიხედოს. ჩვენ ისედაც ბევრს გავუწიეთ ანგარიში და ამით ხარაკირი გავიკეთეთ.

– რა ხარაკირზე საუბრობთ?

– ყველა ჯურის პოლიტიკოსი ცდილობდა, ჩვენთან შემომძვრალიყო. მერე კოაბიტაცია დაგვაძალეს, ჩვენც დავთანხმდით და ამით საკუთარ თავს ხარაკირი გავუკეთეთ. ყოველთვის ვითვალისწინებდით კოალიციაში შემავალი სუბიექტების მოსაზრებებს, მაგრამ ნამეტანიც არ შეიძლება. ყველამ საკუთარ პარტიას მივხედოთ. ამით ამომრჩევლის წინაშეც მართლები ვიქნებით და საკუთარი თავის წინაშეც.

საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და ამომრჩეველს თუ უნდა, ხმას სტალინელს კი არა, ლენინელსაც მისცემს. თუმცა არა მგონია, ასეთი არჩევანი ვინმემ გააკეთოს. მეეჭვება, ქართულ პოლიტიკაში ლენინის და სტალინის მოყვარულების სიჭარბე იყოს. ეს არის გაბუქებული.

– ვინ აბუქებს, რესპუბლიკელები? ლევან ბერძენიშვილმაც თქვა, „ქართულ ოცნებაში“ ლენინიც უყვართ და სტალინიცო.

– ამას რანაირად უნდა ვუპასუხო. მე ლევან ბერძენიშვილს პატივს ვცემ. ის განათლებული ადამიანია, მაგრამ სად შეგვამჩნია სტალინის და ლენინის სიყვარული. ვინმეს ჯიბიდან ამოუვარდა მათი ფოტოები? კარგი იქნება თუ ლენინის და სტალინის მოყვარულებს ბერძენიშვილი თავის პარტიაში მოიკითხავს.

მის განცხადებაზე ჩემმა კოლეგებმა კარგი შეფასება გააკეთეს. მათ დავესესხები და იმავე შეფასებას გავაკეთებ: ჩვენ რომ კომპარტიიდან მოვდიოდით, რესპუბლიკელების ზოგიერთი ლიდერი იქ შედიოდა.

– ვის გულისხმობთ?

– ეს ამბავი ყველამ იცის და გვარის დაკონკრეტება აღარ მინდა. გაბუქების თემას შევეხე ზემოთ და აღარ დამიკონკრეტებია. ამ თემაზე უსუფაშვილმაც ისაუბრა და სრულად ვეთანხმები. მისი თქმით, ნაციონალები ცდილობენ ისე წარმოაჩინონ საქმე, თითქოს თავად არიან საქართველოში მხოლოდ მედასავლეთეები. ამ კუთხით ისინი საქართველოს უქმნიან პრობლემებს.

ახლა მე ვსვამ კითხვას – ადამიანები, რომლებიც ქონების წამღლეტელები იყვნენ. ადამიანებს აწამებდნენ და ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდნენ, მათ მოკლეს ირინა ენუქიძე და ასეულობით ახალგაზრდა, ეს ადამიანები თუ არიან მედასავლეთეები და დასავლური ღირებულებების მატარებლები, მაშინ კარგად გვქონია საქმე. თუ ასე ჩაითვალა, მაშინ საზოგადოება შეიძლება არჩევანის წინაშე დადგეს.

– რა არჩევანის?

– ჩვენი საზოგადოება იტყვის, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. ამას ნუ ვათქმევინებთ. ეჭვიც არ მეპარება, რომ ამომრჩევლები გაიგებენ, რა ანტიქართული ძალაა ნაცმოძრაობა. აქამდე რომ ბოლომდე ვერ გაიგეს, ამაში ჩვენც ვცოდავთ.

თავის დროზე ხმამაღლა უნდა გვეთქვა მათზე სრული სიმართლე. ახლა ეს უტიფრები გამოდიან და იძახიან, რომ ჩვენ ვანგრევთ ქვეყანას და ბიძინა ივანიშვილი იტაცებს ყველაფერს. ამაზე ერთი რაღაც ვთქვი და თქვენთანაც გავიმეორებ: ეგენი მაშინებლები იყვნენ, ივანიშვილი კი მაშენებელია.

გიორგი ვაშაძე: „ოცნებას“ აქციების გარეშეც დავამარცხებთ“

ნონა ცაბაძე

ტოვებს თუ არა გიორგი ვაშაძე ნაციონალურ მოძრაობას? რა ცვლილებებია მათ საარჩევნო სიაში? აპირებენ თუ არა მასობრივი საპროტესტო ტალღის აგორებას? დატოვეს თუ არა პარტია ცნობილმა სახეებმა? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

„ხელისუფლება პარლამენტში მაქსიმუმ 45 კაცს შეიყვანს“

– ბატონო გიორგი, ვრცელდება ინფორმაციები, რომ პარტიაში დიდი დაპირისპირებაა და რომ ნაციონალური მოძრაობის დატოვებას აპირებთ. ასეა?

– არ ახალია ეს საუბრები. ამაზე გამუდმებით ვრცელდება ინფორმაციები, ბევრსაც საუბრობენ, თუმცა ამაოდ.

– ბოლო შეხვედრა საკმაოდ ხმაურიანი იყო და თქვენთან ერთად კიდევ რამდენიმე ცნობილმა სახემ დატოვა პარტიაო. ამას არ ადასტურებთ?

– არა, არ ვადასტურებ და ამ ხმებს ნუ ენდობით.

– ანუ რჩებით ნაციონალურ მოძრაობაში არჩევნებამდე?

– დიახ, ვრჩები. არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგაც.

– აირაის კვლევებზე რას იტყოდით, რომლის მიხედვითაც 1%-იანი სხვაობაა თქვენსა და „ქართულ ოცნებას“ შორის. რით ახსნით ამას? უმრავლესობა კვლევებს უნდობლობას უცხადებს. როგორია თქვენი პოზიცია?

– ზუსტად უმრავლესობის პოზიციიდან გამომდინარე, რომ არასდროს არ უნდათ ხალხის აზრი მოისმინონ და რეალურად თვალი გაუსწორონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ზუსტად ამიტომ არის, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ბოლომდე ჩამოიშალა. მათ მხარდაჭერა აღარ აქვთ საზოგადოებაში. ყოველდღიურად კარგავენ მხარდაჭერას.

ეს კვლევები ჩატარებულია იმ პერიოდში, როდესაც „ქართული ოცნება“, როგორც კოალიცია, არსებობდა. იმის მერე ეს კოალიცია დაიშალა.

– ეს შეცვლიდა კვლევის შედეგებს?

– აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იქნება, დღეს რომ ჩატარდეს ეს კვლევა. ეს არის რეალური სურათი იმისი, რაც ხდება ქვეყანაში. საქართველოს მოსახლეობა ხედავს, რომ ქვეყანა წინ არ მიდის. ხალხში მთავარი პრობლემა ის არის, რომ მას საერთოდ იმედი აქვს დაკარგული პერსპექტივის. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაში მყოფ ძალას პერსპექტივა არ აქვს გამარჯვების. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არსებობს.

– რა ფაქტორს გულისხმობთ?

– საქართველოს მოქალაქეები მიეჩვივნენ, რომ სწორედ მათ არჩევანზეა დამოკიდებული არჩევნების ბედი. საქართველოში არჩევნების გაყალბება ვეღარ ხდება ისე, როგორც, მაგალითად, შევარდნაძის პერიოდში ხდებოდა. საარჩევნო სისტემა და ადმინისტრაცია დაიხვეწა.

„ქართული ოცნება“ შეეცდება, გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსი, ეს მას გარკვეულ პროცენტებს მოუმატებს. სწორედ ამასთან არის დაკავშირებული საარჩევნო თარიღთან არსებული მანიპულაციები, რომ რაც შეიძლება მეტი მანიპულაციის დრო ჰქონდეთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისთვის. ასევე მათ მხარეს იქნება ფული, დიდი ფინანსური რესურსი.

– ამომრჩეველს მოისყიდიან?

– ვეღარ მოისყიდიან, რადგან ხალხი მიეჩვია არჩევანის გაკეთებას. მათ ვეღარ იყიდიან.

– ანუ არჩევნების მასობრივ გაყალბებას თავიდანვე გამორიცხავთ?

– ყველა ხელისუფალმა უნდა იცოდეს, რომ ვინც გაბედავს მასობრივ გაყალბებას, ეს ავტომატურად მას შეუტრიალდება. ხალხის არჩევანს,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თორნიკე შარაშენიძე: „ხელისუფლების ხელშია, მივიღებთ თუ არა ვიზალიბერალიზაციას“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მიღების საკითხზე საუბრობს.

– ბრიუსელში პარლამენტის თავმჯდომარემ ვიზალიბერალიზაციის პროცესში სამი ხელშემშლელი მიზეზი დაასახელა: ევროპაში არსებული მიგრაციის პრობლემა, „ქართული ოცნების“ ნორჩი ლენინელებისა და ნორჩი სტალინელების განცხადებები და ნაციონალური მოძრაობის ნაწილის მუშაობა ევროპის სახალხო პარტიის ნაწილთან. ეს ის მიზეზებია, რომლებმაც შეიძლება ვიზალიბერალიზაციის გარეშე დაგვტოვოს?

– სამივე ფაქტორი არის დაძლევადი. ამ პრობლემების გასაღები თავად „ქართული ოცნების“ ხელშია. რაც შეეხება იმ განცხადებას, რომ ნაციონალური მოძრაობა გვიშლის ხელს, ნაციონალური მოძრაობა ამ პროცესს ხელს ვერ შეუშლის, თუ „ქართული ოცნება“ თავის მოვალეობას კარგად შეასრულებს.

– რას გულისხმობთ?

– ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გამყარებას, დემოკრატიის განვითარებას და არა პირიქით. მაგალითად, თუ არ გამორთავს რუსთავი 2-ს. მე იმედი მაქვს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე წინასწარ ფონს არ იქმნის იმ შემთხვევისთვის, თუ ვიზალიბერალიზაცია არ მოგვცეს, რომ ეს ნაციონალურ მოძრაობას დააბრალოს.

– ნაციონალური მოძრაობის გარდა, უსუფაშვილმა ნორჩ ლენინელებზე და სტალინელებზეც ისაუბრა, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ არიან და მათი განცხადებები იქ აღიქმება, როგორც ხელისუფლების განცხადებები.

– ეს ვისი ბრალია?! ერთ კაცს შეუძლია დაუძახოს ამ ადამიანებს და ისინი ხმას არ ამოიღებენ და მსგავს განცხადებებს არ გააკეთებენ. გამოდის, ეს პრობლემაც მოგვარებადია.

– თუმცა, ლევან ბერძენიშვილმა განცხადება გააკეთა, რომ ნაციონალური მოძრაობა გაშიფრულ თამაშს თამაშობს. ევროპის სახალხო პარტია თითქოს ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს, რომ ქვეყანაში არიან პოლიტპატიმრები უგულავა და მერაბიშვილი და მათ განთავისუფლებას ითხოვენ, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი საპარლამენტო არჩევნებს მიებას და ა.შ. ეს რამდენად არის პრობლემა?

– ევროპელებთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ვისაც ისინი პოლიტპატიმრებში გულისხმობენ, უგულავა და მერაბიშვილი, მათი ციხეში ყოფნა ხელს არ შეუშლის ვიზალიბერალიზაციას, მაგრამ ეჭვი გაჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ უფრო შორს მიდის და ის ისევ მიადგა რუსთავი 2-ს. ამიტომ კვლავ ალაპარაკდა სახალხო პარტია, მაგრამ ფაქტია, რომ სალაპარაკო მისცეს.

რაც არ უნდა ილაპარაკოს ლევან ბერძენიშვილმა, ყველაფერი მმართველი ძალის ხელშია და მარტივად შეუძლიათ პრობლემა მოაგვაროონ. არჩევნებამდე ის მაინც მოახერხოს ხელისუფლებამ, რომ თავისუფალ მედიას ნუ შეეხება, მაგრამ მაინც ეხება. ევროპარლამენტის წევრები, რომლებიც მხარს გვიჭერენ, თავიანთ მოსახლეობას წარმოადგენენ ევროპარლამენტში. თუკი ევროპაში საზოგადოებრივი აზრი ჩვენ წინააღმდეგ შემობრუნდა, მაშინ თავისუფალ მიმოსვლაზე ასე მარტივი არ იქნება საუბარი.

– ევროპაში საქართველოს მიმართ დამოკიდებულება კეთილგანწყობილია თუ კითხვის ნიშნები მაინც აქვთ?

– კეთილგანწყობილი არის, მაგრამ აქ ვიღაცებს ჰგონიათ, რომ ეს ასე იქნება სამუდამოდ. ეს დადებითი განწყობა მნიშვნელოვანწილად რუსულ-უკრაინულმა კონფლიქტმა განაპირობა. უკრაინამ შექმნა პოლიტიკური ფონი, რომ ჩვენ ეს ყველაფერი მიგვეღო. ახლა ჯერი ჩვენზეა, ბუნებრივია, ჩვენს ხელისუფლებას და მის ქმედებებს ვგულისხმობ. ძალიან სერიოზულად არის ჩვენი იმპორტი ევროკავშირში გაზრდილი, რომელიც გაცილებით მდიდარი ბაზარია, ვიდრე რუსული ბაზარი.

– ევროპაში მიგრაციის პრობლემა შეიძლება შემაფერხებელი ფაქტორი იყოს?

– ეს საკითხიც მოგვარებადია, ევროპელები დარწმუნდნენ, რომ საქართველო მათ პრობლემებს არ შეუქმნით, მით უმეტეს, ჩვენ ეს პრობლემა თავის დროზე გავიარეთ ევროპასთან. ევროკავშირის ტერიტორიაზე თუ იყვნენ მიგრანტები, მათი უკან დაბრუნების ხარჯები ჩვენს თავზე ავიღეთ მთლიანად, ასევე ჩვენს მოქალაქეებს აქვთ აღებული ბიომეტრიული პასპორტები.

ეს სამუშაოები ჩატარებულია, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა ამ კონტექსტში პრობლემები. თუმცა, ქართველები გერმანიაში რომ ქურდობენ, ეს პრობლემად რჩება და ძალიან ცუდია, მაგრამ, როგორც ჩანს, ევროკავშირმა ჩათვალა, რომ მას უღირს ეს თავის ტკივილი იმად, რომ საქართველოს ჰქონდეს წარმატება და დაუახლოვდეს ევროკავშირს.

დღეს საქართველო გადის ბეწვის ხიდზე – ან ჩავარდება ქერის ორმოში ან დაიხევს უკან.

– მოქალაქეებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და ვიზალიბერალიზაციას ზაფხულში მივიღებთ. რა გახდა ხელშემშლელი ამ პროცესში?

– ვიღაცამ შეიძლება ჩათვალა, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი ვქნათ, მაგრამ ადგილზე ნახეს, რომ მთლად

ასე არ არის და დღის წესრიგში კვლავ დადგა გარკვეული საკითხები. ევროპელებმა გვითხრეს, რამე სისულელე არ ჩაიდინოთ და მიიღებთ. აქ საუბარია დემოკრატიის ნორმებზე და მის დაცვაზე. ხელისუფლებამ შეიძლება ბევრი ამტკიცოს, რომ არაფერ შუაშია, მაგალითად, რუსთავი 2-ის საქმეში, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ასე არ არის?!

– ხელისუფლება რამდენად ადეკვატურია, რამდენად მუშაობს ევროსტრუქტურებში?

– ხელისუფლებას ეხმარებიან არაპოლიტიკური ფიგურები, ჩვენი დიპლომატები, საჯარო მოხელეები, რომლებიც დიდი ხანია ამ საქმეში არიან. რაც შეეხება მმართველ ძალას, ხშირად ვუყურებთ სამარცხვინო სცენებს, როდესაც მათ ელემენტარულად ინგლისურიც კი არ იციან, ინგლისურის ცოდნა ერთია, მაგრამ დემოკრატიის უნარები არ იციან. როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში ადეკვატურად იმუშაონ მათ.

არ გაბედოთ აბანოების დახურვა!

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აბანოების მეპატრონეებს მიმართავს

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ იურიდიული მრჩეველი იმედა დვალიძე გოგირდის აბანოების წარმომადგენლების განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ შპს „ნარიყალას“ დირექტორის ნოდარ ტოტოღაშვილის საჯარო გამოსვლა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მორიგი მცდელობაა.

მისი თქმით, 26 აპრილს გავრცელდა გოგირდის აბანოების წარმომადგენლის განცხადება, სადაც იგი საპროტესტო აქციების გაგრძელებას აანონსებს და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ბრალს სდებს მათთვის წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემის მოხმარებისთვის უსამართლო ტარიფის დაწესებაში.

– მათი განცხადების თანახმად, თუ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მხრიდან სამართლიანი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მიმართავენ უკიდურეს ზომებს, რაც უარყოფითად აისახება აბანოების მუშაობაზე და გამოიწვევს მათ საბოლოოდ დახურვას, – აღნიშნა იმედა დვალიძემ.

ის აცხადებს, რომ მსგავსი შინაარსის განცხადება არის ჩვეულებრივი შანტაჟი, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“, არამედ დედაქალაქის მერიის, სემეკის და სასამართლოს მიმართ ზეწოლას.

– აბანოების წარმომადგენლებს მივმართავ საჯაროდ, მკაფიოდ და გასაგებად – არ გაბედოთ აბანოების დახურვა! მსგავსი ქმედება მაშინ, როცა დავა სასამართლოშია და დღედღეზე ჩანიშნულია მოსამზადებელი სხდომა, სხვას არაფერს ემსახურება, თუ არა შანტაჟსა და ზეწოლას. შანტაჟზე კი, როგორც წესი, მაშინ მიდიან, როცა არგუმენტები არ აქვთ, – განაცხადა დვალიძემ.

მისივე თქმით, აბანოების მეპატრონეები, ანუ ჩვეულებრივი კერძო ბიზნეს-სუბიექტები, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისგან“, ანუ ასეთივე ჩვეულებრივი კერძო სუბიექტისგან, უაპელაციოდ ითხოვენ მათთვის შეღავათიანი ტარიფის დაწესებას:

– ოპონენტი მხარის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისგან“ ელოდებიან სამართლიან გადაწყვეტილებას. მათ ვუპასუხებ, რომ კომპანიამ უკვე მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება, როცა მათ წყალარინების სისტემით სარგებლობაზე ზუსტად ისეთივე გადასახადი დაუწესა, რასაც იხდის აბსოლუტურად ყველა ბიზნეს-სუბიექტი დედაქალაქში, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე.

დვალიძის თქმით, კომპანიის ტარიფებს, რამდენადაც იგი ბუნებრივ

მონოპოლისტს წარმოადგენს, არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. – „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ახალი მენეჯმენტი გოგირდის აბანოებს სთხოვს ზუსტად ამ გადასახადის გადახდას, არც ერთი თეთრით მეტს, – განაცხადა იურისტმა.

მისი თქმით, მართალია ტოტოღაშვილი, როცა ამბობს, რომ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მათ მხოლოდ დაგროვილი დავალიანების რესტრუქტურიზაციაზე ელაპარაკება.

– ისინი ან უნდა დათანხმდნენ შეთავაზებულ პირობებს დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე, ან თავიანთი არგუმენტებით უნდა წარდგნენ სასამართლოში, რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენ მივმართეთ და არა მათ, – აღნიშნა იმედა დვალიძემ.

ბიბიენი

17 ათასამდე პირს სესხები გაუიაფდება

16.974 მომხმარებელს რეფინანსირების განაკვეთზე მიბმულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეუმცირდება.

როგორც „საზოგადოება და ბანკებში“ აცხადებენ, 2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 16.974 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. შესაბამისად, მსესხებლებს საპროცენტო განაკვეთი შეუმცირდებათ, რადგან ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით, 7,5%-მდე დაწია.

მთლიანად ცვლად განაკვეთზე მიბმული 893 მლნ ლარის სესხია გაცემული.

როგორც „საზოგადოება და ბანკებში“ აცხადებენ, ბოლო 1 თვის განმავლობაში გაცემული სესხების რაოდენობა გაიზარდა 101-ით, ასევე გაზრდილია მთლიანი პორტფელი – 879,2 მილიონი ლარიდან 893,0 მილიონამდე.

16.974 ხელშეკრულებიდან 7.056 სამომხმარებლო სესხია, მოცულობა კი – 70,3 მილიონი ლარი. ლარში გაცემული სამომხმარებლო სესხის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 1 აპრილისთვის 17,00% შეადგინა.

რაოდენობრივად მეორე ადგილზეა იპოთეკური ტიპის სესხები. რეფინანსირების განაკვეთზე, 1 აპრილის მონაცემებით, 5.065 სესხია მიბმული, საშუალოდ 13,1%-ად. მთლიანი პორტფელი კი 228.6 მილიონი ლარია.

2.120 ხელშეკრულებაა გაფორმებული ბიზნეს სესხების გასაცემად. მთლიანი პორტფელი 571.27 მილიონი ლარია. აქედან მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად ბანკებმა

118.7 მილიონი ლარი გასცეს, საშუალოდ 15.2%-ად. მსხვილი ბიზნესი კი, 1 აპრილის მონაცემებით, 452.6 მილიონი ლარით დააკრედიტეს, საშუალო შეწონილ 14.8%-ად.

ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემულია რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ავტოსესხი. სულ 1 აპრილის მონაცემებით 25 ხელშეკრულებაა გაფორმებული. 809.33 ათასი ლარი ბანკებმა საშუალოდ 16.94%-ად გაასესხეს.

ასევე გაცემულია 2.707 ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხი, რომელთა კონკრეტული მიზნობრიობა უცნობია. ამ სესხების მთლიანი მოცულობა 22,0 მილიონი ლარია.

◆ ◆ ◆

„საზოგადოება და ბანკებში“ აცხადებენ, რომ ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები ლარში გაცემული მთლიანი საკრედიტო პორტფელის 16,02%-ია. აქედან ყველაზე მეტია ბიზნეს სესხები, ხოლო ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი იპოთეკურ სესხებზეა.

„საზოგადოება და ბანკებში“ პროგნოზსაც აკეთებენ და აცხადებენ, რომ წლიური ინფლაცია შემდგომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მომხმარებელთა საყურადღებოდ!

SOCAR

კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ საუკეთესო სურვილებით წინასწარ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ამასთან ერთად გატყობინებთ იმ სერვის ცენტრების ჩამონათვალს, რომლებიც იმუშავებენ სადღესასწაულო უქმე დღეებში:

აჭარაში გონიოს სერვის ცენტრი იმუშავებს უწყვეტ რეჟიმში. თბილისში მდებარე საბურთალოს და გუდვილის სერვის ცენტრები, ქუთაისის (ჯავახიშვილის ქ. №1), გორის, ფოთის, ზუგდიდის, თელავის მომსახურების ობიექტები იმუშავებენ შაბათს 14.00 საათამდე. კვირას და ორშაბათს ისვენებს ყველა სერვის ცენტრი.

პატივისცემით, კომპანიის ადმინისტრაცია

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

სოსო მანჯავიძე: „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკური დამბლა აქვს დაცემული“

ბოტანიკური ბაღის გარშემო სკანდალი გრძელდება. ამ კუთხით განსაკუთრებით შეურიგებელია ნაციონალური მოძრაობა და მისი წარმომადგენლობა თბილისის საკრებულოში. საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი სოსო მანჯავიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაცმოძრაობას არ აინტერესებს ბოტანიკური ბაღი, მისი ტერიტორია, ეკოლოგია და მოსახლეობის ინტერესები. ეს პარტია ამ თემას სათავისოდ იყენებს.



„ნაცმოძრაობა ბოტანიკური ბაღის თემას ივანიშვილის დემონიზაციისთვის იყენებს“

მარიამ მჭედლიშვილი

სოსო მანჯავიძე:

– ბოტანიკური ბაღი ნაციონალურ მოძრაობაში საერთოდ არ აინტერესებთ. ამ თემაზე გაკეთდა განმარტებები. ითქვა, რომ ბოტანიკურ ბაღს ტერიტორიის ნაწილი ჩამოერთვა სხვა ტერიტორიის სანაცვლოდ. შეიძლება ეს ვინმეს არ მოეწონოს, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ნაციონალური მოძრაობა ახორციელებს ბიძინა ივანიშვილის დემონიზაციას. ეს გამოსდის კიდეც. ამ პროცესში ამ პირებმა გამოიყენეს ბოტანიკური ბაღის საკითხი.

– ხელისუფლებაც ხომ არ უწყობს ხელს იმას, რომ ნაცმოძრაობას საპროტესტო თემები არ შემოელიოს?

– ხელისუფლება ხშირად გაუგებრად იქცევა, უმოქმედოა, მას აქვს შეცდომები, მაგრამ ერთია აღმასრულებელი ხელისუფლების შეცდომები და მეორე – მავნებლების, მტრებისა და ფაშისტების მოქმედებების ლოგიკა. „ქართული ოცნება“ ისეთ მდგომარეობაშია, რომ, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური დამბლა აქვს დაცემული. ამას საგარეო გავლენებიც განაპირობებს.

– ანუ პრობლემები დასავლეთთან?

– ნაციონალურ მოძრაობას სერიოზული ლობისტები ჰყავს უცხოეთში. ამ მავნებლურ პარტიას იდეოლოგიური მხარდაჭერა აქვს გარედან. ლობისტები გულხელდაკრეფილი არ სხედან. ეს ყველაფერი აისახება სიტუაციაზე საქართველოში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, უკვე თავხედურ მოქმედებებზე გადავიდა. ამას ზურგს უმაგრებს ელექტრონული მედიის დიდი ნაწილი. ტელეკომპანია რუსთავი 2 უბრალოდ ნაცმოძრაობის არხი კი არ არის, არამედ თავად ნაციონალური მოძრაობაა მედიაპროექტი.

– ისევ აქტუალური გახდა საუბარი ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას გათავისუფლებაზე.

– ესეც იმ ლობისტების დახმარებით ხდება, რომლებზეც ვისაუბრეთ. ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას აშანტაჟებს ვიზალიბერალიზაციის საკითხით.

– როგორ?

– თუ ხელისუფლება მისთვის სასურველ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს, ნაციონალები იმუქრებიან ვიზალიბერალიზაციის პროცესის ჩაშლით, ევროსტრუქტურებში პრობლემების შექმნით. პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი რამდენიმე დღის წინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ისე გამოიყურებოდა, თითქოს რუსთავი 2-ის შეკითხვებს პასუხობდა და ნაციონალური მოძრაობის წინაშე თავს იმართლებდა.

– ხელისუფლებას პრობლემები სხვა ოპოზიციასთანაც აქვს.

– ეს კიდევ ერთი დიდი სატკივარია. განსაკუთრებით ამაზრზენია სააკაშვილის მიერ დანიშნული ოპოზიცია. ეს ვითომ ოპოზიციონერები ნაციონალებზე უარესი არიან. ისინი საააკაშვილის საქმეს აკეთებენ და თან საზოგადოების მოტყუება უნდათ.

– ანუ ქვეყანაში მდგომარეობა რთულია?

– რა თქმა უნდა. ვითარებას ართულებს ხელისუფლების ამორფული, გაუგებარი მოქმედებები. ეს იწვევს საზოგადოებაში არა მარტო აპათიას, არამედ აგრესიასაც. ყველაფერ ამას ქაოსურ მდგომარეობამდე მივყავართ.

პროცესებმა შეიძლება საშიში ფორმები მიიღოს. ნაციონალური მოძრაობა გააქტიურებულია. ნაციონალურ მოძრაობაში ვგულისხმობ, არა მხოლოდ ერთ პარტიას, არამედ ფართო ძალებს. ესაა დიდი ორგანიზმი თავისი მრავალრიცხოვანი საცეცებით. ხელისუფლების გაურკვეველი განცხადებები და ნაბიჯები ხელს უწყობს სახიფათო პროცესების განვითარებას.

კობა გვენეტაძე: „ლარის დიდი რყევები მოსალოდნელი არ არის“

„ონლაინსესხების საკითხი მისახედია“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე მიიჩნევს, რომ ონლაინსესხების საკითხი მისახედია.

გუშინ, 27 აპრილს, გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, ვის დაევალება ონლაინსესხების რეგულირება.

– ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროში ეს კომპანიები, რომლებიც ონლაინსესხებს გასცემენ, არ შემოდიან. სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის დაევალება ზოგადად ონლაინსესხების რეგულირება, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.

– ჩვენ ამ საკითხებს მომხმარებელთა დაცვის კუთხიდან ვუყურებთ. ზოგადად რომ ვისაუბროთ, თავისთავად სესხის აღებამ მსესხებლის ეკონომიკური მდგომარეობა არ უნდა გააუარესოს. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ყველა ის ღონისძიება, რომელიც გატარებული იქნება ამ მიმართულებით. მსესხებელს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ შეაფასოს ყველა ის რისკი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ სესხის მიღებასთან, – განაცხადა გვენეტაძემ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებს შედარებით დიდი ხნის გამოცდილება აქვთ.

– ჩვენ ამ გამოცდილებას ვსწავლობთ. საკითხი მისახედია და მას შემდეგ, რაც გადაწყდება, თუ ვინ გააკეთებს ამ საკითხის რეგულირებას, შესაბამისად, მოხდება იმ ღონისძიებების შემუშავება, რაც მომხმარებელთა დაცვის მიზნით მაქსიმალურად შეეცდება, რომ სავალალო შემთხვევები გამორიცხული იყოს. ეს ქვეყანაში ფინანსურ სტაბილურობაზე კარგად აისახება, – განაცხადა გვენეტაძემ.

მან ლარის კურსის ცვლილებებზეც ისაუბრა.

საქართველოში მოქმედებს ლარის გაცვლის მცურავი, ანუ ე.წ. თავისუფალი კურსი.

გვენეტაძის თქმით, ეროვნული ბანკის ინტერვენციები დროთა განმავლობაში მცირდებოდა და მომავალში კიდევ უფრო უნდა შემცირდეს, რის შემდეგაც კურსი უფრო თავისუფალი იქნება და უფრო კარგად ასახავს ბაზრის მდგომარეობას.

რაც შეეხება ლარის კურსის გამყარების შეჩერებასთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, კობა გვენეტაძის განმარტებით, ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატი ფასების სტაბილურობაა და აქედან გამომდინარე, მისი ყველა გადაწყვეტილება ამ მანდატის შესრულებასთან თანხვედრაში უნდა იყოს.

– როცა ეროვნული ბანკი ინტერვენციებს ახორციელებდა, ამას ხელი არასდროს შეუშლია ლარის კურსის ბუნებრივ მიმართულებაზე – ანუ შესაძლებელი იყო გარკვეულწილად შემცირებულიყო გამყარების ტემპი, მაგრამ მიმართულება ასევე გრძელდებოდა, – აღნიშნა კობა გვენეტაძემ.

მისი აზრით, არ არის კარგი არც ძალიან მკვეთრი გამყარება და არც გაუფასურება.

– ლარის მკვეთრმა გამყარებამ შესაძლოა, გამოიწვიოს იმპორტის გაიაფება, ექსპორტის გაძვირება, რამაც შესაძლოა, ისევ უკან დაგვაბრუნოს. ასე რომ, ეროვნული ბანკი მის გადაწყვეტილებებში დაეყრდნობა იმას, რომ გაცვლითი კურსი არის მცურავი და ინტერვენციები მიმართულია იმისკენ, რომ დიდი რყევები აღმოფხვრილ იქნას, – განაცხადა გვენეტაძემ.

გასულ წელს და წლის დასაწყისში ეროვნულ ბანკს რეზერვების გაყიდვა მოუწია და მისი შევსებაც აუცილებელია, ამიტომ ეს პერიოდი კარგ დროს წარმოადგენს რეზერვების შევსებისთვის, რაც მოხდა კიდეც ბოლო ერთი თვის განმავლობაში.

როგორც კობა გვენეტაძემ აღნიშნა, არც ერთი ცენტრალური ბანკი, სადაც მცურავი გაცვლითი კურსი მოქმედებს, ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებით პროგნოზს არ აკეთებს.

– ჩვენ ვაკვირდებით ყველა იმ ფაქტორს, რომელმაც შეიძლება იქონიოს გავლენა გაცვლით კურსზე. დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ თუ რამე მნიშვნელოვანი შოკები არ მოხდა, ლარის კურსთან დაკავშირებით ძალიან დიდ ცვლილებებს არ ველოდებით, – განაცხადა გვენეტაძემ.

ბიბიენი

გიორგი ვაშაძე: „ოცნებას“ აქციების გარეშეც დავამარცხებთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მის ძალას, წინ ვერავინ დაუდგება. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება ამას ვერ გაბედავს.

არის მექანიზმები, როგორ ვაკონტროლოთ თითოეული ხმა, როგორ ვაკონტროლოთ, ვინ ვის აძლევს ხმას, რომ არ მოხდეს ამ ხმის მიცემის გაყალბება. თუ გაყალბება მოხდება, ამას სხვა პროცესები მოჰყვება საქართველოში. 2003 წლის შემდეგ ყველა ხელისუფლებამ იცის, რომ არც კი უნდა წაუცდეს ხელი გაყალბებაზე!

ბიძინა ივანიშვილისგან, რომელიც სრულიად სხვა სისტემებს არის მიჩვეული, ყველაფრის ყიდვას არის მიჩვეული, არაფერია გამორიცხული. თუმცა, ჩვენ ამას არ დავუშვებთ არც ერთ შემთხვევაში.

– ძალიან ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა აპირებს, საპროტესტო ტალღაზე შეცვალოს არჩევნების შედეგები. რას გეგმავთ? რამდენად მასობრივად იქნება გამოსვლები?

– საპროტესტო ტალღაში რას გულისხმობთ, არ ვიცი. თუ იმის თქმა გსურთ, რომ საქართველოში, ყოველ მეორე რაიონში, რაღაც აქცია ტარდება, ეს არის ძალიან ბუნებრივი პროცესი, მაშინ, როდესაც ხელისუფლება არ უსმენს ხალხს და უსმენს მხოლოდ ოლიგარქს და მხოლოდ მის წინაშეა ანგარიშვალდებული, ეს ჩვეულებრივი პროცესია.

ყოველგვარი ნაციონალური მოძრაობის მიღმა, საქართველოში ყოველდღიურად სხვადასხვა რაიონებში ხდება გამოსვლები, მოთხოვნები, იმიტომ, რომ არ ესმის ხელისუფლებას იმ პრობლემების, რაც საზოგადოებაშია. რაც შეეხება ჩვენს კამპანიას, ჩვენ გვექნება ჩვენი საარჩევნო პროგრამა და ამ პროგრამით მივყვებით კამპანიას.

– თუკი „ოცნება“ კვლავ უმრავლესობით მოვა, თქვენ გამოსვლებს აანონსებთ?

– გამოსვლები იქნება იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მასობრივად შეეცდება არჩევნების გაყალბებას და შედეგების გადაწერას. ეს სტანდარტი საქართველოში უკვე დამკვიდრებულია! ყველამ ვიცით, რომ საქართველოში არავის შერჩება არჩევნების გაყალბება. მე ვფიქრობ, რომ აქამდე არც მივა საქმე, „ოცნება“ ისედაც დამარცხდება ამ არჩევნებში!

მე ვიწინასწარმეტყველებ და გეტყვით, რომ მათ მაქსიმუმ 40-45 ადამიანი გაიყვანონ პარლამენტში, მეტს ვერ გაიყვანენ. ჯამურად ვამბობ, სიით და მაჟორიტარების სახით. ასე რომ, „ოცნების“ გადასაყენებლად აქციების მოწყობაც არ გახდება საჭირო.

– აირაის კვლევებში ლიდერობს პაატა ბურჭულაძე. ამის თაობაზე რისი თქმა შეგიძლიათ?

– ეს მიუთითებს იმაზე, რომ დიდია საზოგადოებაში გადაუწყვეტელთა რაოდენობა. პაატა ბურჭულაძე ჯერჯერობით არის მაინც ხელშეუხებელი ადამიანი, რომელსაც არავინ აკრიტიკებს, იმიტომ, რომ ის პოლიტიკაში არ არის ჩართული. მე პერსონალური რეიტინგების ნაკლებად მჯერა, იმიტომ, რომ არ მგონია, პერსონალური რეიტინგები იყოს რეალიზებადი რეალურ პოლიტიკაში.

– იმაზეც საუბრობენ, რომ საакაშვილის დავალებით ის აუცილებლად შემოვა პოლიტიკაში. ამაზე რას იტყვით?

– საუბრით ბევრს საუბრობენ, მაგრამ ეს ლოგიკასთანაც არ არის ახლოს.

– ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიაზე რას იტყვით? როდისთვის გახდება საზოგადოებისათვის ცნობილი?

– მაისში ალბათ ყველაფერი დასრულება და ძირითადი მონახაზი ყველასთვის ცნობილი გახდება.

– საუბარია იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი ცნობილი სახე ამ სიაში ვეღარ მოხვდება. ასეა?

– დაველოდოთ სიის საბოლოო ფორმირებას. მალე ყველაფერი გახდება ცნობილი.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

17 ათასამდე პირს სესხები გაუიაფდება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კვარტალებში ზომიერად შემცირდება და დროებით მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა შენარჩუნდება, ხოლო წლის ბოლოს მიუახლოვდება მიზნობრივ მაჩვენებელს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ საშუალოვადიან პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ეტაპობრივად უნდა შემცირდეს 5-6 პროცენტის ფარგლებში.

– გასული წლის 1 კვარტლიდან ბანკებმა იპოთეკურ და ბიზნეს სესხებთან ერთად აქტიურად დაიწყეს ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სხვა ტიპის სესხების გაცემაც, რაც ლარის რესურსზე მაღალი მოთხოვნით იყო გამოწვეული, – აცხადებენ „საზოგადოება და ბანკებში“.

მოქალაქეები ამჯობინებდნენ აეღოთ სესხი ეროვნულ ვალუტაში, თუნდაც იგი ყოფილიყო არა ფიქსირებული, არამედ ცვლადი.

– წლის ბოლოსკენ რეფინანსირების განაკვეთის ზრდამ მასზე მიბმულ სესხებზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვია. ეროვნული ეკონომიკისთვის აუცილებელია, რომ ბანკებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი რესურსი ლარში, რაც სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას გამოიწვევს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეროვნულ ვალუტაში დაზოგვის წახალისებაც, რაც ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდით მიიღწევა, – აცხადებენ „საზოგადოება და ბანკებში“.

◆ ◆ ◆

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2014 წლის შემდეგ პირველად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შეამცირა.

შემცირება 50 საბაზისო პუნქტით, 7.5 პროცენტამდე მოხდა.

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სს „საქართველოს რკინიგზის“ 2015 წლის 17 სექტემბრის №5794 წერილით გათვალისწინებული პირობები კერძოდ: კარიერის წლიური მოპოვება (წარმადობა) არ უნდა აღემატებოდეს 70 000 მ3, ხოლო ყოველი წლის შემდეგ აუცილებელია ახლიდან განხორციელდეს რკინიგზის ხიდის და მდინარის კალაპოტის მონიტორინგი, და დადებითი დასკვნის საუძველზე გაგრძელდეს მოპოვებითი სამუშაოები;

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის ხებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ნოსირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 82 500 მ³).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ნოსირის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი
11 062 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
1 106,2 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
9 050 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 28 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა

Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბიას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P + C_2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 136 800 მ³).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბიას მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი
18 343 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
1 834,3 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
14 874 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 28 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განახორციელოს კომპანია ბი-პი-სთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქსოვრისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსნის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 69 000 მ³).

7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქსოვრისის მიმდებარე ტერიტორია

8. აუქციონის საწყისი ფასი
9 252 ლარი

9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
925,2 ლარი

10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
7 602 ლარი

11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 28 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე

12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე

13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
5 წელი

14. სხვა მონაცემები

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №4

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

1. საიდენტიფიკაციო ნომერი
204 559 691

2. მისამართი/ტელეფონი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

3. ელ–ფოსტა
Licenziebi2015@gmail.com

4. სარგებლობის ლიცენზიის სახე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

მატჩში მიმდინარე ჩემპიონატის ორი რეკორდი გაუმჯობესდა: სარეკორდო გამოდგა ერთ შეხვედრაში ერთი გუნდის, რუსთაველთა მიერ დაგროვილი 115 ქულა. ძველი რეკორდი (110) ბათუმს ეკუთვნოდა, რომელიც მე-4 წრეში აკადემიასთან შეხვედრის დროს დაფიქსირდა.

ასევე სარეკორდო გამოდგა ამავე შეხვედრაში ორივე გუნდის დაგროვილ ქულათა საერთო ჯამი – 201. ძველი რეკორდი (198) ასევე ბათუმი-აკადემიას (110:88) მატჩში იყო დამყარებული.

სატუნიორო ცხრილი:

1.ქუთაისი	27	18	92117-2006	45
2.ბათუმი	27	18	92163-2003	45
3.დინამო	27	17	101998-1898	44
4.სოხუმი	27	15	122072-1928	42
5.რუსთავი	28	14	142182-2121	42
6.მგზავრები	27	13	141967-2068	40
7.ოლიმპი	28	9	192075-2230	37
8.აკადემია	27	5	221979-2299	32

ბარსელონამ თვალი ბაის დაადგა

ესპანური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონამ თვალი ვილიარეალის ახალგაზრდა მცველს, ერიკ ბაის, დაადგა.

22 წლის ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში ვილიარეალის სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელია. კატალონიური კლუბის სპორტული დირექტორი რობერტ ფერნანდესი არაერთხელ დაესწრო „ყვითლების“ თამაშს, რათა დენის სუარესისთვის ედევნებინა თვალი, თუმცა ფერნანდესი ბაისაც აკვირდებოდა.

ბარსელონას სხვა მცველებიც ჰყავს შეგულებული, მაგრამ ბაის მარკინოსზე (ასუ), ლაპორტისა (ბილბაო) და ხიმენესზე (ატლეტიკო) უფრო იაფ ალტერნატივად განიხილავენ.

ერიკ ბაი ვილიარეალში 2015 წლის იანვარში ესპანიოლიდან 5.7 მილიონ ევროდ გადავიდა. სადღეისოდ, ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხა ცნობილი არაა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ სატრანსფერო თანხამ, შესაძლოა, 20-25 მილიონი ევრო შეადგინოს.

კატალონიური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, ბარსელონას ვარსკვლავი ნეიმარი მიმდინარე სეზონის შემდეგ კლუბის დატოვებას არ გეგმავს.

გაზეთები წერენ, რომ ნეიმარი მის ტრანსფერთან დაკავშირებით გავრცელებული ჭორებით დაიღალა. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა მამამისს, რომელიც მისი აგენტია, სთხოვა, რომ არ განიხილოს სხვა კლუბების შემოთავაზებები. 24 წლის ბრაზილიელი ბარსელონაში თავს კარგად გრძნობს და წასვლის მიზეზს ვერ ხედავს.

ცნობილია, რომ ნეიმარმა კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის გახანგრძლივების პირობებზე შეთანხმებას მიაღწია, თუმცა სეზონის დასრულებამდე ეს ოფიციალურად არ დადასტურდება.

აქამდე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსას ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი ფიქრობს, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელის გაყიდვა მიზანშეწონილი იქნებოდა, რადგან ის ბოლო დროს სათანადოდ ვერ თამაშობს.

ბრძოლა ფინალისთვის ევროპის ლიგაზეც იწყება

დღეს ევროპის ლიგის ორი ნახევარფინალური მატჩია. ორივე წყვილი საინტერესოდ მოჩანს, თუმცა, მცირე უპირატესობები შეიძლება სევილიასა და ლივერპულს მივაკუთვნოთ.

შახტარი – სევილია 2.7 3.1 2.7

ამ გუნდების ნაცნობობა 2007 წელს დაიწყო. ევროპის ლიგის მერვედფინალური მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველი მატჩი დონეცკში 2:2 დამთავრდა და ყველა ფიქრობდა, რომ სევილია შემდეგ ეტაპზე უპრობლემოდ გავიდოდა. ასე არ ფიქრობდნენ დონეცკელები, რომლებიც სევილიაში 2:1 დაწინაურდნენ და თითქოს მეოთხედფინალის საგზურიც განაღდებული ჰქონდათ, რომ არა სევილიელთა მეკარე ანდრეს პალოპი. სწორედ მეკარემ გაუტანა გამთანაბრებელი გოლი დონეცკელებს მსაჯის მიერ კონპენსირებული დროის მე-4 წუთზე, ხოლო დამატებით დროში ჩევანტონიმ შემდეგ ეტაპზე ესპანური გუნდი გაიყვანა.

სევილიამ იმ წელს თასი მოიგო და ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან სევილიელთათვის ევროპის ლიგა უკვე „შინაურ ჩემპიონატად“ იქცა და ბოლო 2 წელია ასევე ზედიზედ იგებს.

ვნახოთ, რა მოხდება ამჯერად, თუმცა ფავორიტი მაინც ესპანელები არიან. მით უფრო, რომ შახტარს დისკვალიფიცირებული ფრედის გარდა ტრავმირებული აზევედოც დააკლდება. თავის მხრივ, სევილია ვიტოლოს, ხოსე ანტონიო რეიესს, ადილ რამისა და ბენუა ტრმულანისს მოისაკლისებს, მაგრამ მათი შემცვლელებიც მოეძებნება.

მსაჯები პოლონელები არიან: შიმონ მარჩინიაკი (მთავარი); პაველ სოკოლნიცკი, ტომაშ ლისტკევიჩი (ასისტენტები); პაველ რაჩკოვსკი, ტომაშ მუსიალი (დამატებითი ასისტენტები); რადოსლავ სეიკა (მეოთხე);

ვილიარეალი – ლივერპული

2.5 3.1 3.0

მიუხედავად იმისა, რომ ევროტურნირების არცთუ იშვიათი „სტუმრები“ არიან, ეს გუნდები ერთმანეთს აქამდე არ შეხვედრიან. ლივერპული უფრო გამოცდილია და ესპანურ გუნდებთან დადებითი ბალანსიც აქვს. აქამდე ჩატარებულ 32 მატჩში 13 მოგება 10 ფრე და 9 წაგება აქვს. აქედან ორჯერ ფინალში დაამარცხა ესპანელები: ევროპის ლიგაზე ალავესი (5:4) და ჩემპიონთა ლიგაზე – მადრიდის რეალი (1:0). სწორედ მადრიდელებთან გამარჯვების შემდეგ უნდა შეხვედროდა სუპერთასზე თბილისის დინამოს, მაგრამ რატომღაც ინგლისელებმა უარი განაცხადეს.

ვილიარეალი უფრო მოკრძალებულია, როგორც მატჩებით, ასევე ბალანსით: 13 მატჩიდან მხოლოდ 3 მოიგო, 6 ფრედ ითამაშა და 4 წააგო.

მატჩს ლივერპული მეტი დანაკლისით ხვდება. თუ ვილიარეალი ტრავმის გამო მხოლოდ ლეო ბაპტისტაოს მოისაკლისებს, ამავე მიზეზით მატჩს გამოტოვებენ კრისტიან ბენტეკე, დივორ ორიჯი, ემრე ჯანი, ჯორდან ჰენდერსონი და ჯორდან როსიტერი.

მატჩს სლოვენიელები განსჯიან: დამირ სკომინა (მთავარი); იურე პრაპროტნიკი, რობერტ ვუკანი (ასისტენტები); მატეი იუგი, სლავკო ვინჩიჩი (დამატებითი ასისტენტები); ბოიან ული (მეოთხე);

ფრე სტუმართა სასარგებლოდ

დებოდნენ. მაშინაც კი, როდესაც კონტრშეტევისთვის მშვენიერი პლაცდარმი ჰქონდათ, მაგრამ აჩქარების ნაცვლად, ისევ ტაქტიკურ სათამაშო სტილზე ერთვებოდნენ.

საპასუხო მატჩი ერთი შეხედვით რეალისთვის იოლი მოჩანს, თუმცა, სიტის შეუძლია მადრიდში გოლის გატანა, რაც უფრო დაძაბავს შეხვედრას.

აღსანიშნავია, რომ მადრიდელთა კოსტა რიკელმა მეკარემ კეილორ ნავასმა „სამეფო კლუბის“ რეკორდი დაამყარა – ჩემპიონთა ლიგის ერთ სეზონში 8 მატჩში გოლი არ გაუშვა. მიმდინარე სეზონში ევროპის პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე ნავასი მოედანზე 9 მატჩში გამოჩნდა და მხოლოდ 2 გოლი მიიღო ვოლფსბურგთან წაგებულ (0:2) მატჩში.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტონი კროოსი

ასეთ მატჩში საუკეთესოდ ალბათ უფრო მცველი უნდა აგვერჩია, მაგრამ ორივე გუნდის ცენტრალური მცველები ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ. გერმანელმა კი მშვენიერი მატჩი ითამაშა, მით უმეტეს, რომ ცენტრში უპირატესობა რეალს ჰქონდა. ასეთ დროს, კროოსმა 98% სიზუსტით შეასრულა პასები.

ზინედინ ზიდანი:

– საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ. მძიმე მატჩი აღმოჩნდა, მაგრამ თავს კარგად ვიცავდით, ნამდვილად კარგად. მეორე ტაიმში ბურთს უფრო ხშირად ვფლობდით და გატანის შესაძლებლობა გვქონდა. ვფიქრობ, უფრო მეტს ვიმსახურებდით. ჩვენ ყოველთვის გამარჯვება გვსურს. რონალდუმ ბოლო ვარჯიშზე რაღაც იგრძნო და ამიტომ, არ უთამაშია. ჩვენ არ გვსურდა, რომ მისი მდგომარეობა გართულებულიყო. ბენზემამ თავი ცუდად მატჩის დროს იგრძნო. როდესაც საქმე მოთამაშეთა ჯანმრთელობას ეხება, გარისკვა არ გვსურს. კარგად გვესმის, ორივე მათგანი გუნდისთვის რამდენად მნიშვნელოვანია. იმედია, საპასუხო შეხვედრაში ითამაშებენ... მატჩამდე მიმაჩნდა, რომ შანსი თანაბარი იყო და ახლაც იგივეს ვფიქრობ – ბრძოლა ბოლომდე იქნება.

მანუელ პელეგრინი:

– ფრით კმაყოფილი ვერ ვიქნები... დაცვაში კარგად ვმოქმედებდით, ხოლო სილვას მოედნიდან გასვლამდე შემოქმედებითად თამაშს ვცდილობდით, შემდეგ ბურთს ძალიან ხშირად ვკარგავდით. თუ ვერ იმარჯვებ, მაშინ 0:0 კარგი ანგარიშია... ჩვენ ვუტევდით, მაგრამ ასპროცენტიანი საგოლე მომენტები არ გვქონია. ვიცოდით, რომ მეტოქე შეეცდებოდა თავს თავისი ფეხბურთი მოეხვია. ამიტომ, თავად ვცდილობდით პრესინგი გვეთამაშა. მაგრამ ბურთი როდესაც გვქონდა, მომენტების შექმნა და გატანა ვერ მოვახერხეთ... არ ვფიქრობ, რომ რეალი ფავორიტად რჩება. ამ სეზონში სტუმრად ძალიან კარგად ვთამაშობდით, ამიტომ „ბერნაბეუზე“ წასვლის არ გვეშინია.

საქართველოს ნაკრების მეტოქემ გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

მიმდინარე წელს ცხელი ზაფხული ელის საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს. ჩვენებს ევროშესარჩევის ტურნირის მატჩები ელით, სადაც მეტოქეებად ჩერნოგორია, სლოვაკეთი და ალბანეთი ერგო. სულ გუნდები 7 ჯგუფში გადანაწილდნენ და ევროპის ჩემპიონატის საგზურს მხოლოდ გამარჯვებულები მიიღებენ, რომლებსაც 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატება. რაკი პირველ ჯგუფში დანარჩენებისგან განსხვავებით 3 გუნდია, საუკეთესო მეორეადგილოსანი შემდეგი პრინციპით გამოვლინდება: 4-გუნდიანი ჯგუფების მეორეადგილოსნებს ჩამოეჭრებათ ჯგუფში ბოლო, მე-4 ადგილზე გასულ გუნდებთან ნაჩვენები შედეგები და ამ შედეგებით გამოვლინდება 4 საუკეთესო.

აქედან გამომდინარე, ჩვენებს ურთულესი ბრძოლები ელით ჩერნოგორიის ნაკრებთან, რომელთა მთავარმა მწვრთნელმა ბოგდან ტანიევიჩმა 24-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

გამოძახებულთა შორის არიან ნბა-ს წარმომადგენლები ნიკოლა პეკოვიჩი (მინესოტა) და ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლანდო). ჩერნოგორიელთათვის ასევე დიდი ძალაა ნატურალიზებული ამერიკელი უკანახაზელი ტაირის რაისიც, რომელიც ამჟამად რუსულ ხიმკიში ირიცხება.

თუმცა, ტანიევიჩმა ისიც აღნიშნა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე, დიდი ალბათობით, ვერ ითამაშებს ნიკოლა პეკოვიჩი. ეს ჩვენთვის კარგი ინფორმაციაა.

ჩერნოგორიის საკალათბურთო ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

მცველები: ნიკოლა ივანოვიჩი, პეტარ პოპოვიჩი (ორივე მეგა ლეკსი, სერბეთი), ნიკოლა პავლიჩევიჩი (ოლიმპია, სლოვენია), ტაირის რაისი (ხიმკი, რუსეთი), ნემანია ვრანიეში, სუად სეჰოვიჩი, სეად სეჰოვიჩი (ყველა ბუდუჩნოსტი), ვლადიმირ მიჰაილოვიჩი (ტუბინგენი, გერმანია), დინო რადონჩიჩი (რეალი, ესპანეთი);

ფორვარდები: ნემანია დურიშიჩი (ზიელონა გორა, პოლონეთი), ემირ ჰაჯიბეგოვიჩი (მორნარი), ალეკსა ილიჩი (ბუდუჩნოსტი), ბლაგოტა სეკულიჩი (ტენერიფე, ესპანეთი), მილკო ბიელიცა (დარუშაფაკა, თურქეთი), ნემანია რადოვიჩი (მურსია, ესპანეთი), ვლადიმირ დაშიჩი (უგუნდოდ), დანილო ნიკოლიჩი (მეგა ლეკსი, სერბეთი), ივან მარაში (ცმოკი, ბელარუსი);

ცენტრები: ნიკოლა პეკოვიჩი (მინესოტა, ნბა), ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლანდო, ნბა), ბოიან დუბლევიჩი (ვალენსია, ესპანეთი), მარკო ტოდოროვიჩი (ბილბაო, ესპანეთი), ზორან ნიკოლიჩი (პრატი, ესპანეთი), ვასილიე ბაროვიჩი (ბუდუჩნოსტი).

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

გერმანიის დაზვერვის შეფი გადადგა

გერჰარდ შინდლერს ბრუნო კალი შეცვლის



გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახური (ბნდ) მორიგ სკანდალში გაეხვია.

მის მიმართ პრეტენზიები ერთი წლის წინ აგორებულმა ჯაშუშურმა სკანდალმა განაპირობა, როცა გაირკვა, რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო მოკავშირე ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლების სატელეფონო საუბრებს უსმენდა.

ამერიკელებს ხელს უწყობდა ფედერალური სადაზვერვო სამსახური, კერძოდ კი, მისი შეფი გერჰარდ შინდლერი. გერმანიის კანცლერმაც შინდლერის გადაყენება კატეგორიულად მოითხოვა.

გერჰარდ შინდლერი გამოცდილი პროფესიონალია. ის 1952 წელს დაიბადა. განათლებით იურისტი და ყოფილი ოფიცერი მედესანტეა. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კონსტიტუციის დაცვის უწყებაში (კონტრდაზვერვა). ბნდ-ს ხელმძღვანელის პოსტზე მან 2012 წელს ერიხ ურლაუ შეცვალა.

გუშინ, 27 აპრილს, ცნობილი გახდა, რომ გერჰარდ შინდლერი გადადგა. მას ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე, ბრუნო კალი შეცვლის.

ბრუნო კალი ფინანსთა მინისტრ შიობლეს გუნდის წევრია. კალი ერთხანს შიობლეს კანცელარიას ედგა სათავეში.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ გადაწყვეტილება გერჰარდ შინდლერის გადაყენების შესახებ ჯაშუშური სკანდალის აგორებიდან ერთ წლის შემდეგ მიიღეს.

„დოიჩე ველე“ მიიჩნევს, რომ ამისი მიზეზი შემდეგია: გამომზეურდა ახალი ფაქტები, რაც ადასტურებს, რომ ბნდ, ამერიკელებთან ერთად, არა მხოლოდ გერმანიის სამთავრობო წრეების, არამედ ევროკავშირის რიგი ორგანიზაციისა და ევროპის სამრეწველო წრეების წარმომადგენელთა მოსმენებსაც ახორციელებდა.

ესპანეთის მეფემ პარლამენტი დაითხოვა

ესპანეთის პარლამენტმა ახალი პრემიერის არჩევა ვერ შეძლო. არც ერთ კანდიდატს სათანადო მხარდაჭერა არ აღმოაჩნდა.

ესპანეთის სახელმწიფოს მეთაური, მეფე ფილიპე მეოთხე დეპუტატებს შეხვდა. ორსაათიანი საუბრის შემდეგ მეფემ მიიღო გადაწყვეტილება, დაითხოვოს პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნოს.

ოფიციალურად ამას 4 მაისს გამოაცხადებენ.

ესპანეთის პარლამენტის დეპუტატმა და სოციალისტური პარტიის წევრმა ლოპესმა მომხდარში ულტრა-მემარჯვენე ორგანიზაცია პოდემოსი (ჩვენ შეგვიძლია) დაადანაშაულა.

– ამ ორგანიზაციამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათა ესპანეთში პოლიტიკური კრიზისი შექმნილიყო, – ამბობს ლოპესი.

ოდესაში უკრაინის გვარდიის ნაწილები შეჰყავთ

ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ როგორც ოდესაში, ისე მთელს ოლქში მდგომარეობა იძაბება.

სააკაშვილი ეროვნული გვარდიის შემოყვანას მოითხოვს. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამისი კატეგორიული წინააღმდეგია.

– ოდესაში ტიპიური პოლიტიკური გარჩევები მიმდინარეობს. ეროვნული გვარდია იმისთვის არ შექმნილა, რომ ამ გარჩევებში მონაწილეობა მიიღოს, – განაცხადა უკრაინის შს მინისტრის მრჩეველმა ვარჩენკომ.

რამდენიმე დღის წინ ქალაქის მერიასთან ევრომაიდნის წარმომადგენლებმა მერის გადაყენების მოთხოვნით აქცია დაიწყეს. უცნობმა ნიღბიანმა პირებმა აქცია დაარბიეს. მეორე დღეს ასევე უცნობმა პირებმა ავტომატური იარაღიდან ბანკის შენობას ცეცხლი გაუხსნეს. მიუხედავად ასეთი ფონისა, ოდესის სასამართლომ მაისის აქციების ჩატარების ნებართვა გასცა.

– თუკი პოროშენკო ეროვნული გვარდიის ნაწილებს არ შემოიყვანს, შესაძლოა, ახალი ტრაგედია დატრიალდეს, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საბოლოო გადაწყვეტილება პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მიიღო. მან გასცა განკარგულება ოდესაში ეროვნული გვარდიის დამატებითი ნაწილების შეყვანის შესახებ.

რუსეთის ავიაციამ სირიის დაბომბვა განაახლა

რუსეთმა სირიის დაბომბვა განაახლა. იბომბება მოზრდილი ტერიტორია ალეპოდან პალმირამდე.

რუსები ბომბავენ როგორც ექსტრემისტების, ასევე ზომიერი სირიული ოპოზიციის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას.

აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ რუსებს დაბომბვების დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდა. ობამამ განაცხადა, რომ რუსეთი სამშვიდობო შეთანხმებას არღვევს, რაც აბსოლუტურად მიუღებელია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ



„სავსე ქართული პატიოსნებით“



არიან პიროვნებები, რომლებიც ამ ცოდვა-მადლით სავსე, ხშირად გაუსაძლის წუთისოფელში, ჩვენს ყოფას ალამაზებენ, ადამიანთა მოდგმას ამშვენებენ და თავიანთი გამორჩეული, ღვთივკურთხეული თვისებებით, განუმეორებელ ხიბლსა და შინაარსს მატებენ ირგვლივ მყოფთა ადამიანურ ურთიერთობებს. ისინი ადამიანებისადმი ნდობას, სიყვარულსა და რწმენას გვინერგავენ და ყოველგვარი დიდაქტიკური სენტენციების ხმამაღალი ქადაგების გარეშე, თავიანთი ცხოვრების წესით, მაღალი ზნეობრივ-მოქალაქეობრივი პოზიციით, იძლევიან იმის ნათელ მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ადამიანი. ამგვარი ადამიანის გვერდით უბრალოდ ყოფნაც კი ბევრს გავალებს და მორალური პრინციპებისადმი ყურადღების თუნდაც წამიერად მოდუნების უფლებას არ მოგცემს. ასეთი ადამიანები ჰყავს უთუოდ პოეტს მხედველობაში, როცა ამბობს: „შენებრ რჩეულებს, ათასში ერთხელ, ზეცა უგზავნის მიწას იმედად“.

სწორედ ერთ ასეთ გამორჩეულსა და ჭეშმარიტად ღირსეულ ჩვენს თანამოძმეს, ცნობილ მეცნიერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ღვაწლმოსილ, დამსახურებულ მუშაკს, სტუდენტი-ახალგაზრდობის მრავალი თაობის ბრწყინვალე აღმზრდელს, უსაყვარლესსა და გამორჩეულ ლექტორს, ჭეშმარიტად ეროვნულ კაცს, ქართული ტრადიციების ერთგულ გუშაგსა და ქართული სუფრის, როგორც ჩვენი თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტის, დიდ მოამაგესა და დამფასებელს (თავად შესანიშნავ, ბრძენ თამადას), ტრადიციული ქართული ოჯახის თავკაცს, ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილ, ღვთიური მადლითა და ღირსებებით უხვად დაჯილდოებულ არაორდინარულ პიროვნებას, ჩვენი დიდი საძმო-სამეგობროს შემდუღაბებელსა და ბაირახტარს, ჩვენს ზნეობრივ ორიენტირს, ჩვენი საზოგადოების ჭეშმარიტ კოლორიტს, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეცენზირებადი და რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის – „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარ რედაქტორს, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის წევრს, მშობლიური ენის ბრწყინვალე მცოდნესა და მისი სიწმინდის გულანთებულ დამცველს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ

რეზო გოგოხიას

გულითადად ვულოცავთ 80 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ, შინაარსით სავსე სიცოცხლეს იმ იმედითა და რწმენით, რომ ის კვლავ ისეთი შემართებით, ახალგაზრდული ენერგიით იღვაწებს ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ და ეს მოღვაწეობა ნაყოფიერად და წარმატებით გაგრძელდება დიდი ხნით.

ამ წერილს, როგორც მკითხველი ადვილად შენიშნავს, აკადემიურობის პრეტენზია სულაც არა აქვს (ეს ცალკე თემაა), ჩვენ მხოლოდ ემოციურად გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ამ არაჩვეულებრივი პიროვნებისადმი და წერილს ემოციურადვე დავასრულებთ: გვინდა ჩვენს იუბილარ მეგობარს განსაკუთრებული მადლობა ვუთხრათ იმისათვის, რომ მასთან ურთიერთობის ყოველი დღე ჭეშმარიტი ზეიმია ჩვენთვის და, ბუნებრივია, დიდი სურვილი გვაქვს, ეს ზეიმი, უფლის ნებით, კვლავაც მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდეს!

გულთაზ ლაბარტყავა, ნუგზარ პაიჭაძე, ანზორ აბრალავა, როინ ქუტიძე, ციცო გაგუა, კარლო ღურწკაია, ნუგზარ გადელია, ირაკლი კალანდია, კოკა კუტუბიძე, ჯემალ ხარებავა, მერაბ ჯიქია, კახა ქეცბაია, როინ ანდღულაძე, ზაურ ქობალია

ასტროპროგნოზი

28 აპრილისთვის

ვერძი – კოლეგებთან პრობლემები იჩენს თავს. ძალზე დაძაბული პერიოდი გეწყებათ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ჯარო** – ნუ იქნებით ზედმეტად ემოციური. თქვენთვის დამახასიათებელი პირდაპირობის გამო, შესაძლოა, გარშემოყოფებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. **ჭყუპები** – სამუშაო თქვენგან დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **კირჩხიბი** – საზოგადოებრივ საქმიანობაში თქვენს წვლილს შეიტანთ. ერიდეთ მატყუარა ადამიანებს. ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ. **ლომი** – პროვოკაციული დღეა. იფიქრეთ საკუთარ შეცდომებზე, გააანალიზეთ ისინი და გამოასწორეთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. **სასწორი** – ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი მოგიწევთ. იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** – წარმატებული დღეა. იღბალი თან გდევთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მშვილდოსანი** – შესაძლოა, ახლო ნათესავმა გაწყენინოთ. შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. **თხის რქა** – შეუპოვრობა და პრინციპულობა გაამართლებს. მზად იყავით პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებისათვის. შესანიშნავი დღეა ახალი საქმის დასაწყებად. **მერწყული** – წვრილმან პრობლემებს ნუ შეუშინდებით. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ გარემოს შეიცვლით, მოინახულებთ მეგობრებს. **თევზები** – დროს ნუ დაკარგავთ. საკუთარ თავზე იმუშავეთ. ახალი ნაცნობობა სასარგებლო იქნება. ეს დღე გამოირჩევა როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ტენდენციებით.

გისუჰვებთ ბედნიეჰ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 2. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 3. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 4. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. იაპონური ფინანსურ-სამრეწველო კონცერნი; 8. ლამაზად, მოხდენილად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 16. პატარა რესტორანი იტალიაში; 18. ლუთერანული ეკლესია; 20. ყველაზე დაბალი რეგისტრის, სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

თარაზულად: 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 8. სოფლის პოლიციელი ძველად; 9. მონასტერი ოჩამჩირეს რაიონში; 10. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 11. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ჯიში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 21. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 22. კიდული რკინიგზა; 23. კარაქის დასამზადებლად რძის შესადღვები ხის მოგრძო ჭურჭელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქუვეითი; 2. ნუვორიში; 3. ერსტედი; 5. კოსტიოლი; 7. ჰელიოსი; 9. მიკოლოგია; 13. ბოქსიტი; 15. ეგზოტი; 16. ბოლერო; 18. კროსი.

თარაზულად: 4. დუმპკარი; 6. სკუდიერი; 8. შემასმენელი; 10. ნაირობი; 11. კოდა; 12. ოსტანი; 14. ჩეიზი; 17. ლობიო; 19. აზოტი; 20. შევჩენკო; 21. აუდი; 22. კინოდრომი; 23. რიხტერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ზოსტერა; 2. კომუნიკე; 3. მიანმა; 4. რანდი; 5. ყინწვისი; 8. ბაზილიკა; 12. პატი; 13. სათაფლია; 14. აილამა; 16. მადიარი; 18. ოხორი; 20. მოკო.

თარაზულად: 6. სომბრერო; 7. ერისთავი; 8. ბუზუკი; 9. ტემზა; 10. მიკიტანი; 11. პამპერსი; 15. ტახიკარდია; 17. მინდია; 19. მარმელადი; 21. პლეიბოი; 22. ტალიორი; 23. ლოკჰიდი.

გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ ოპერის სცენაზე დაიდგმება

კლასიკოსი მწერლის გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები „სამოსელი პირველი“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დაიდგმება.

კომპოზიტორმა ზაზა მარჯანიშვილმა განახორციელა პროექტი „სამოსელი პირველი“, სადაც ერთმანეთში შერწყმულია საოპერო, საბალეტო, სახვითი ხელოვნების და დრამატული თეატრის ელემენტები.

„სამოსელი პირველის“ დამდგმელი რეჟისორია ლაშა ონიანი, ქორეოგრაფი ლალი კანდელაკი, კოსტიუმების ავტორი ანა კალატოზიშვილი, სცენოგრაფები ლევან სალუქვაძე და გელა იორდანიშვილი.

წარმოდგენაში მთავარ პარტიებს შეასრულებენ როგორც ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტები თეა დემურიშვილი, ოთარ ჯორჯიკია და ნიკოლოზ ლაგვილავა, ასევე დრამატული თეატრის მსახიობები გოგა პიპინაშვილი, რეზო ჩხიკვიშვილი, ნანა შონია და მიხეილ გომიაშვილი.

ოპერის თეატრის გუნდის და ორკესტრის გარდა, ოპერაში ჩართულია ინსტრუმენტალისტთა ჯგუფიც.

სპექტაკლს დავით კინწურაშვილი უდირიჟორებს.

„სამოსელი პირველი“ თანამედროვე ოპერაა და მისი პრემიერა ორ თვეში გაიმართება.

შორენა ბეგაშვილს ვალების გადახდას სთხოვენ

მსახიობსა და ტელეწამყვან შორენა ბეგაშვილს სრულიად უცნობი ადამიანები ვალებისა და სესხების გასტუმრებას სთხოვენ.

ამ თემაზე საჯარო განცხადება თავად შორენა ბეგაშვილმა გააკეთა:

– ერთი თვეა კლინიკაში ვცხოვრობთ და იქნებ ახლა მაინც არ მომწეროთ თქვენი ვალების და კრედიტების დასახმარებლად.

შორენა ბეგაშვილი მოზარდ შვილთან ერთად ჯერ კიდევ იაშვილის კლინიკაშია. ევა მეხუთე სართულიდან შემთხვევით გადავარდა. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია შორენას ქველმოქმედების შესახებ, თუ როგორ ეხმარება ის გაჭირვებულ ადამიანებს.

ამჟამად ევას მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, გოგონამ ახალი ფოტოც გამოაქვეყნა ინტერნეტში და იმ „კეთილისმსურველებსაც“ უპასუხა, რომლებმაც მის უბედურ შემთხვევას არაადეკვატური კომენტარებით უპასუხეს:

– უკომენტაროდ, – დაწერა ევამ სოციალურ ქსელში.

ქართულმა ფილმმა შვეიცარიაში მთავარი ჯილდო მოიგო

შვეიცარიაში, ნიონის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილე სალომე ჯაშის ფილმმა მთავარი ჯილდო აიღო.

ინფორმაცია ეროვნულმა კინოცენტრმა გაავრცელა:

– ძალიან მაგარი ახალი ამბავი შვეიცარიიდან. ცნობილი გახდა, რომ სალომე ჯაშის ფილმმა „დაისის მიზიდულობა“, რომელიც ნიონის საერთაშორისო კინოფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში იყო წარდგენილი, მთავარი ჯილდო აიღო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკურვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

სამგლოვიარო განცხადებები

თენგიზ მენთეშაშვილის ხსოვნას

თენგიზ მენთეშაშვილი ერთ-ერთი სიმართლითა და სიკეთით გამორჩეული პიროვნება იყო, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ბედკრული საქართველოს, მისი დედაქალაქის, თბილისის აღმშენებლობის საქმეში. მჯერა, რომ მას გულში ჩაიკრავს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მადლიანი მიწა, ცად ამაღლდება და უფალი მიუჩენს ადგილს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. განა ბევრი იყო და არის ამქვეყანაზე ხალხისა და სამშობლოს წინაშე ისეთი მართალი, როგორიც ბატონი თენგიზი ბრძანდებოდა. მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური ქართული მიწა.

თანავუგრძნობთ, სამძიმარს გამოვთქვამთ ვაჟიშვილების, მეუღლის, ქალბატონი ცინარის მიმართ. ცინარის, რომელიც ყოველთვის იყო და დარჩება ჩვენი თაობის სამაგალითო, უმწიკვლო ქართველ ქალბატონად. ვინ ვინ და ჩვენ, მისი სათაყვანებელი ძმის, შესანიშნავი თბილისელი ვაჟკაცი კაცის და რაინდის მეგობართა შორის სრულიად ახალგაზრდამ პირველმა დატოვა მიწიერი სამყარო და შეუერთდა საქართველოს ზეციურ სამოთხეს. დიახ, ეს იყო ჭრილობა, რომელმაც სამუდამო დაღი დაასვა ქალბატონი ცინარის სამაგალითო ქართულ ოჯახს. განსაკუთრებით სიყვარულით გვახსენდება მილერის სამეგობროს მართლაცდა ოთარაანთ ქვრივი, ქალბატონი ვერიკო.

აღდგომის დღეებია და ყველას თანავუგრძნობთ, ვინც ამ დღეებში შენდობას მოელის ჩვენი ხელიდან. უფალს შევთხოვთ, რომ გაანათლოს მათი მართალი და ნათელი სულები.

დიდება მაღლითა შინა უფალს, ამინ!

პატივისცემით, თენგიზ ონიანი

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა

ნიკოლოზ (ნიკალა) მელიტონის ძე სხირტლაძე

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკა-ფილიალების თანამშრომლები თანაუგრძნობას ქ-ნ დოდო ენუქიძეს ძმის

ჟორა ენუქიძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

განცხადებები

იყიდება

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

კონსულტაცია უფასოა!

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

პროგრამა

ხუთშაბათი 28 აპრილი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი". **12.30** "ტრანსმისია". **13.00** ტ/სერ. "**ჩენბრო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო". **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდენი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ინტერვიეწ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ. "**აპერიკული ოდისეა**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**პაპანა**" **03.20** "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ნამდვილი პანამა" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პაპარაძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**ბალამფუფეტი ხმა**" **02.35** მხ/ფ "**კამილა კლოდელი**" **04.45** მხ/ფ "**ბრიუგეები ჩარჩენილი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45** სერ. "**აღთქმა**" **20.00** კურიერი **20.05** სერ. "**აღთქმა**" **21.00** კურიერი **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.30 ან/სერ. "**აპაბარი - ლეგენდა აანგის შესახებ**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**", **11.00, 3.00** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები სერ. "**კარგი ცოლი**", **20.30 20.30 22.30** სერ. "**ნამდვილი დეტექტივი**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორგლებზე**" **0.40** მხ/ფ "**წერილი ბოთლში**"

06.15 პატერიკი **06.25** სჯანი **06.40** ქართული ალბომი **07.05** დ/ფ "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" III ნაწ. **07.40** დიდ ხარ შენ უფალო-"ადამი და ევა-ადამიანის დაცემა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტ.ველეგა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ღუაას სახარება**" **13.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** საქართველოს ბუნება "კოლხეთის ეროვნული პარკი" **15.50** დ/ფ "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" IV ნაწ. **16.35** დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. **16.50** ვნების კვირა-დიდი ხუთშაბათი **17.25** კვირიაკეს სიუჟეტი-წმინდა მიწაზე V ნაწ. **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მრწამსის განმარტება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** საწინასწარმეტ.ველო საკითხვის განმარტება ვნების შვიდეულიხუთშაბათი **21.20** ერთსულოვნების ვერონსაკი **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.40** ფსალმუნის განმარტება **21.45** განთიადის სიუჟეტი **22.25** წმ. ვნებანი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი-დიდი პარასკევი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**ბაპი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ორსულობის ბესტი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**თავლები**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**შენიღბული**"

პროგრამები იბეჭდება საააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2334	ევრო — 2.5117
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2266	100 რუსული რუბლი — 3.3774

ამინდის პროგნოზი 28 აპრილისთვის

25 აპრილიდან
მგლის ბილიკი

გაზეთისა და წიგნის ფასი 5 ლარი



26 აპრილიდან
მარგარეტ ტეთჩერი
როგორც თავად იტყოდა

იენ დეილის რედაქციით

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ
წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის
შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

კალეიდოსკოპი

ლონდონში „ვარსკვლავური ომების“ პატივსაცემად რესტორანი გაიხსნება

ლონდონში გაიხსნება დროებითი რესტორანი, რომელიც კინოსაგა „ვარსკვლავურ ომებთან“ იქნება დაკავშირებული.

დაწესებულებას ჰქვია „ჩანგლის გამოღვიძება“ კინოსაგას მეშვიდე ეპიზოდის „ვარსკვლავური ომები: ძალის გამოღვიძება“ ანალოგით.

რესტორანი მუშაობას 23 ივნისს დაიწყებს. ის ექვსი საღამოს განმავლობაში მომხმარებლებს თემატურ სადილებს შესთავაზებს, რომელიც „მისასალმებელი“ კოქტეილის, ოთხი კერძის და გასართობისგან იქნება შემდგარი. სტუმრებს „დარტ ვეიდერის სამეფოში“ დაუვიწყარ მოგზაურობას პირდებიან.

სად იქნება განთავსებული აღნიშნული რესტორანი, მის გახსნამდე 48 საათით ადრე გამოცხადდება, ხოლო მასში შესვლის მსურველებს 55 ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუწევთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრიშტიანო რონალდუმ შეიძლება სიტისთან განმეორებითი შეხვედრაც გამოტოვოს

ბევრისთვის მოულოდნელი იყო, რომ რეალის მთავარმა ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური შეხვედრა მანჩესტერ სიტისთან გამოტოვა. ამის მიზეზი კი კუნთის მცირე ტრავმაა, რომელიც რონალდუს უკვე ერთი კვირაა აწუხებს.

ესპანეთში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კრიშტიანოს გამოსაჯანმრთელებლად დაახლოებით ერთი კვირა დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პორტუგალიელი სიტის წინააღმდეგ არც განმეორებით შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

ჯერჯერობით რეალი ამაზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა რონალდუმ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის განმეორებით შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს.

ლევან მჭედლიძეს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს

ლევან მჭედლიძეს წლევანდელ სეზონში ძალიან არ უმართლებს. ჯერ იყო და ქართველი ფორვარდი ტრავმებმა გააწამა, ემპოლის წინა შეხვედრაში კი ლევანი მოედნიდან გააძევეს. კარპისთან შეხვედრის დროს მჭედლიძემ მეტოქე გუნდის ფეხბურთელს იდაყვი მოუქნია, რის შემდეგაც მას მოედანი დროზე ადრე დაატოვებინეს. ბევრი თვლის, რომ კარპის ფეხბურთელმა ისიმულიანტა და იდაყვი მას არ მოხვედრია. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ასე არ ფიქრობს იტალიური საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი, რომელმაც მჭედლიძეს 3 მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იტალიის ჩემპიონატში მხოლოდ 3 ტურია დარჩენილი, ლევანისთვის ეს სეზონი უკვე დასრულდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

კაცი მაგარი მთვრალი მიდის ქუჩაში. დაეტაკება ერთ ბოძს:

– მაპატიეთ, ქალბატონო, – მოუბოდიშებს ბოძს.

დაეტაკება მეორე ბოძს.

– მაპატიეთ, ბატონო.

დაეტაკება ქალს.

– უხ, შენი ჩამომსხმელის დედა...

●●●

ქუჩაში მიმავალ ლამაზფეხება ქალს კაცი წამოეწევა და ეკითხება:

– გოგონა, უკაცრავად და სად იშოვე ასეთი ლამაზი ფეხები?

– მაღაზიაში, – ირონიულად მიუგო ქალმა.

– მერე სიფათი ხურდაში მოგცეს?

●●●

ქალი და კაცი მიფრინავენ. ქალი ეუბნება:

– რომ ჩავფრინდებით, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ყველამ შენ ცოლად ჩამთვალოს.

– კარგი, მაშინ ჩემოდნებს შენ ატარებ.

●●●

ჯარისკაცი ოფიცერს ეუბნება:

– ბატონო კაპიტანო, გთხოვთ, სამი დღით შვებულება მომცეთ.

– მიზეზი?

– ჩემი ნაცნობი ქალიშვილი თხოვდება.

– რა, მოწმედ მიგიწვიათ ხელმოწერაზე?

– არა, ქმრად!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარსელონა ტიაგო სილვათი დაინტერესდა

ბარსელონა წლევანდელ ზაფხულში პსჟ-ს ცენტრალური მცველის ტიაგო სილვას ყიდვას ეცდება.

სილვა ამჟამად 31 წლის არის და ის მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლება. ბარსელონა 2012 წელსაც ცდილობდა ბრაზილიელი მცველის გადმობირებას, მაგრამ მაშინ სილვამ კატალონიურ გუნდს პსჟ არჩია, სადაც მას უფრო მეტი ფული შესთავაზეს.

ამჯერად სილვას სურს ბარსელონაში თამაში, თუმცა პსჟ მის ადვილად დათმობას არ აპირებს. ტიაგო სილვამ სახელი ჯერ კიდევ მილანში ასპარეზობის დროს გაითქვა და ერთი პერიოდი ბრაზილიის ნაკრების კაპიტანიც იყო.

დევიდ მოიესი შესაძლოა ევერტონში დაბრუნდეს

ევერტონის ყოფილი დამრიგებელი დევიდ მოიესი შესაძლოა ამ გუნდში დაბრუნდეს. წლევანდელ სეზონს ევერტონი ცუდად ატარებს, ამიტომ დიდი ალბათობაა, რომ ამჟამინდელი მწვრთნელი რობერტო მარტინესი თანამდებობიდან გაანთავისუფლონ. მარტინესის წასვლის შემთხვევაში მის შემცვლელად მოიესს მოისაზრებენ, რადგან ის ევერტონში დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა და ამ გუნდს კარგად იცნობს.

მოიესმა ევერტონი 2013 წელს დატოვა და მანჩესტერ იუნაიტედის თავკაცი გახდა, თუმცა ეს გამოცდილება მოიესისთვის წარუმატებელი გამოდგა.

მანჩესტერის შემდეგ დევიდმა ძალები ესპანურ ფეხბურთშიც მოსინჯა, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. როგორც ჩანს, მისი ადგილი ევერტონშია.

ლივერპულს და არსენალს კარლოს ბაკას ყიდვა სურთ

მილანის კოლუმბიელი ფორვარდი კარლოს ბაკა გუნდში შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილოა, ამიტომ არ არის გამორიცხული, იტალიური გუნდი დატოვოს.

როგორც ამბობენ, ბაკას უკვე კონფლიქტი აქვს მილანის ახალ მთავარ მწვრთნელ კრისტიან ბროკისთან, ამიტომ ის მილანში დარჩენას არ აპირებს.

დიდი ალბათობაა იმის, რომ ბაკა კარიერას ინგლისში გააგრძელებს, რადგან მისი მომსახურებით რამდენიმე ინგლისური გრანდია დაინტერესებული, მაგალითად არსენალი და ლივერპული.

მილანი კოლუმბიელი ფორვარდის ტრანსფერში 25 მილიონ ევროს ითხოვს.

ბაკა მილანში გასული წლის ზაფხულში გადავიდა, მანამდე კი სევილიის ღირსებას იცავდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 2. ებრაელებით დასახლებული უბანი ძველ თბილისში; 3. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 5. მზის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგია; 7. ქართული ავიაკომპანია; 9. პიანინოების, როიალების მწარმოებელი გერმანული ფირმა; 13. ბუდისტთა სამონასტრო კომპლექსი ტიბეტში; 15. ზღვის თხელი სანაპირო ზოლი, რომელიც მდიდარია სამკურნალო ტალახით; 16. ძვირფასბეწვიანი შავი ფერის მელია; 18. საბერძნეთის მეორე სახელწოდება.

თარაზულად: 4. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 6. აყალმაყალის, ჩხუბის მოყვარული ადამიანი; 8. პოპულარული ფრანგული ლიქიორი, რომელსაც ბერები ამზადებდნენ; 10. მოკლე პოლიტიკური მოწოდება; 11. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 12. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 14. მცენარეთა სამყარო; 17. ვულკანი ისლანდიაში; 19. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 20. ცოდვების განდობა მღვდლისათვის; 21. მდინარე კახეთში; 22. ცხვირის ღრუს გასასინჯი სარკე; 23. ფრანგი მოდელიორი მამაკაცი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა